Рис. 2. Согревание при температурах: а) ректальной 23°; твердой мозговой оболочки 26°; б) ректальной 35°; твердой мозговой оболочки 33°. 1 — сенсомоторная зона коры; 2 — первичная зрительная зона коры (Lm); 3 — вторичная зрительная зона коры (Spp); 4 — специфическое таламическое ядро кожно-мышечных ощущений (nucleus ventro-postero-lateralis — VPL); 5 — специфическое таламическое ядро зрительных ощущений (corpus geniculatum lateralis — GL; 6 — сетевидное образование промежуточного мозга (formatio reticularis mesencephalis — MRf)

участках мозга, которые позже всех прекращали функционирование — в наружном коленчатом теле, затем в задне-наружном ядре и в мезэнцефалическом сетевидном образовании; почти одновременно с ними на-

чиналось восстановление активности в сенсомоторной ($20-21^\circ$) и в первичной зоне зрительной коры (20°). Ассоциативная кора начинала генерировать биопотенциалы позже всех при $26-29^\circ$. Увеличение частоты биопотенциалов в различных областях мозга и усиление их амплитуды протекало в порядке, обратном наблюдавшемуся при охлаждении животного. К концу согревания ($33-35^\circ$) с подкорковых образований зрительного бугра регистрировалась низковольтная и высокочастотная активность. В коре же отмечалась более медленная активность со вспышками веретен (рис. 2, в). Это свидетельствовало о том, что в конце согревания кора больших полушарий находилась в состоянии торможения, вызванного охлаждением. В целом создавалась картина некоторого функционального угнетения головного мозга.

Необходимо отметить, что у погибших кошек особенных отклонений от вышеописанной картины не наблюдалось до 27° согревания. Однако при форсированном режиме согревания на уровне $28-30^\circ$ на ЭЭГ появлялась генерализованная судорожная активность, которой сопутствовало прогрессивное понижение артериального давления, и животное, казалось бы, уже благополучно выведенное из состояния гипотермии, гибло. Причиной этого, по-видимому, надо считать вторичную тканевую гипоксию, созданную путем форсированного согревания [5].

Таким образом, искусственная гипотермия под наркозом с охлаждением кошки до $20-18^\circ$ переносится удовлетворительно только при соблюдении оптимального режима согревания. Жизненно важные системы в этих условиях функционируют соответственно степени охлаждения и потребностям организма в кислороде на этом уровне.

При соблюдении оптимального режима согревания нам удавалось выводить животных из состояния гипотермии путем кратковременного применения только искусственного дыхания, причем картина ЭЭГ и общее функциональное состояние животных на 2-3-й день почти не отличались от исходных. Однако для суждения о значении выявляемых изменений ЭЭГ недостаточно знание только изменений спонтанной активности в различных областях ЦНС. Существенные коррективы вносит характер изменения ответной активности, что составляет предмет следующего нашего сообщения.

Институт экспериментальной и
клинической хирургии и гематологии
Тбилиси

(Поступило в редакцию 15.10.1965)

ც. ჯანელიძე

თავის ტვინის სხვადასხვა უბნების „სონტანური“ აქტივობისა და
 ორგანიზმის ზოგიერთი ფუნქციის ცვლილებების შესახებ
 ხელოვნური ჰიპოთერმიის დროს

რ ე ზ ი უ მ ე

ხელოვნური ჰიპოთერმია ნარკოზით ცხოველის გაცივებით 20—18°-მდე ორგანიზმს გადააქვს დამაკმაყოფილებლად, თუ დაცულ იქნება ყველა პირობა გათბობის რეჟიმისა. სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი სისტემები ამ პირობებში ფუნქციონირებენ გაცივების დონისა და ამ დონეზე ჟანგბადის მოთხოვნილების შესაბამისად.

ხელოვნური ჰიპოთერმიის გავლენით დიდი ჰემოსფეროების ქერქი უფრო ადრე გადადის შეკაების მდგომარეობაში, ვიდრე თალამური სტრუქტურები, ე. ი. ფილოგენეზურად ახალგაზრდა წარმონაქმნების უპირატესი დათრგუნვის პრინციპი რჩება ძალაში.

თავის ტვინის სხვადასხვა მიდამოების სონტანური ბიოელექტრული აქტივობა ისევე, როგორც სუნთქვა და გულის მოქმედება ითრგუნება რექტალური ტემპერატურის 24—18°-სა და ტვინის მაგარი გარსის ტემპერატურის 27—22°-ის ფარგლებში, რაც მეტყველებს ცხოველთა დიდ ინდივიდუალურ გამძლეობაზე სიცივის მიმართ და ელექტროფიზიოლოგიური ნოლის ვარიაციებზე.

დამოწმებული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Н. В. Братусь. Влияние интерсептивных раздражений на электрическую активность коры головного мозга при гипотермии. Патол. физиология и эксп. терапия, 2, 2, 1958, 23—27.
2. И. С. Релин. Изменение электроэнцефалограммы и реактивности мозга в условиях гиперкапнии. Патол. физиология и эксп. терапия, 5, 4, 1961, 20—26.
3. G. Owen's, F. E. Adams, R. E. Dawson, F. L. Sawyers, H. W. Scott, E. M. Lance. Observed central nervous system responses during experimental employment of various pump-oxygenators. Surgery, 44, 1, 1958, 240—253.
4. R. M. Beaussart, Cl. Gautier, F. Decoulx, A. Hassoum, A. Senneville. L' E. E. G. du chien au cours d'interventions chirurgicales à cœur ouvert avec circuit extra-corporel (C. E. C.). Rev. neurol., 101, 3, 1959, 468—475.
5. И. Р. Петров, Е. В. Гублер. Искусственная гипотермия как средство профилактики кислородного голодания. Труды конф. по физиологии и патологии дыхания, гипоксии и оксигенотерапии, Киев, 1958, 404—413.



კლინიკური მედიცინა

ი. რცხილაძე, ლ. მხეიძე

პირველადი ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვებში თირკმლის პარაციალური ფუნქციების მდგომარეობა ბიოლოგიურ რეაქციასთან დაკავშირებით

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ი. ტატიშვილმა 23.11.1965)

პირველადი ტუბერკულოზი ეკუთვნის დაავადებათა იმ რიცხვს, რომლის დროს ადგილი აქვს ორგანიზმის ალერგიული მდგომარეობის მაქსიმალურ დაძაბულობას. ცნობილია, რომ თირკმლები თავისი ფუნქციური თავისებურებებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმუნურ რეაქციებსა და ალერგიის პროცესებში. ასეთ შემთხვევებში, გასაგებია, თირკმელი არ შეიძლება დარჩეს ინტაქტური და ამ ალერგიულ დაძაბულობას არ უპასუხოს სათანადოდ. დაავადების განვითარებისას მიზანდასახული მკურნალობის ჩატარებაში გარკვეული როლი მიუძღვის იმ ორგანოთა ფუნქციური მდგომარეობის შესწავლას, რომლებიც არეგულირებენ შინაგან გარემოს და უზრუნველყოფენ დარღვეული იმუნური რეაქციების ნიველირებას. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა თირკმლები.

თირკმლის ფუნქციური მდგომარეობის შეფასება ჩვეულებრივი, ძველი მეთოდით ხშირად შეუძლებელია, მით უფრო, რომ შარდში არსებული უმნიშვნელო ცვლილებების დროს ეს ორგანო ფუნქციების მნიშვნელოვანი აშლილობის მატარებელია.

ამის გამო მიზნად დავისახეთ ბავშვთა პირველადი ტუბერკულოზის სხვადასხვა ფორმების დროს თირკმლის ფუნქციური მდგომარეობის გამოკვლევა. თირკმლის ფილტრაციულ-რეაბსორბციული ფუნქციის განსაზღვრისათვის ჩვენს მიერ არჩეულ იქნა თიოსულფატის მეთოდი. თირკმლის სისხლის დინების განსაზღვრისათვის ფენოლოტი ავირჩიეთ (ნ. ა. რატენრის—1950—მოდიფიკაციით).

პირველადი ტუბერკულოზის სხვადასხვა ფორმის დროს თირკმლის პარაციალური ფუნქციების ცვლილებები ძირითადად გამოიხატებოდა გორგლოვანი ფილტრაციის და მილაკოვანი რეაბსორბციის დაქვეითებაში, მაშინ, როდესაც თირკმლის სისხლის დინება, გარდა გამკვრივებისა და ინფილტრაციის ფაზაში მქონე ბრონქადენიტით დაავადებულ ბავშვთა მცირე ჯგუფისა, გაძლიერებული აღმოჩნდა. თირკმლის სისხლის დინებისა და გორგლოვანი ფილტრაციის აღნიშნულმა ცვლილებებმა განაპირობა ფილტრაციული ფრაქციის მეტ-ნაკლებად

გამოხატული შემცირება. ეს, რასაკვირველია, არ ეხება ავადმყოფობის იმ ქვე-
 ჯგუფს, სადაც გამკვრივების ფაზაში არსებულ ბრონქადენიტით დაავადებულ
 ბავშვებს თირკმლის პარციალური ფუნქციების ნორმალური მაჩვენებლები და
 ამის შესაბამისად ფილტრაციული ფრაქციის ნორმალური დონე დაუდასტურ-
 დათ. იგივე შეიძლება ითქვას გამკვრივებისა და ინფილტრაციის ფაზაში არსე-
 ბული ბრონქადენიტით დაავადებული ბავშვების იმ ქვეჯგუფზე, რომლებსაც
 გორგლოვანი ფილტრაციის, მილაკოვანი რეაბსორბციისა და თირკმლის სისხლის
 დინების „სუპერნორმალური“ მაჩვენებლები დაუდასტურდათ.

თირკმლის პარციალური ფუნქციების შესწავლამ პირველადი ტუბერკუ-
 ლოზის სხვადასხვა ფორმის დროს მოგვცა უფლება გვეფიქრა, რომ თირკმლის
 ნატიფი ფუნქციების ცვლილებები, როგორც პარასპეციფიკური რეაქციის გა-
 მოვლინება, ტუბერკულოზთანაა დაკავშირებული. აღნიშნული ფაქტის დადას-
 ტურების მიზნით თირკმლის პარციალური ფუნქციები ჩვენ მიერ შესწავლილ
 იქნა როგორც ბიოლოგიურ რეაქციამდე (Mantoux), ისე მის შემდეგ (იხ.
 ცხრილი 1).

ამ მიზნით შესწავლილ იქნა 20 ავადმყოფი. აქედან 5 ბავშვი დაავადებუ-
 ლი იყო გამკვრივების ფაზაში არსებული ბრონქადენიტით, 10—ინფილტრაცი-
 ული ბრონქადენიტით და 5—ექსუდაციური პლევრიტით.

ჩვენ მიერ შერჩეულ იქნა გამკვრივების ფაზაში არსებული ბრონქადენი-
 ტით დაავადებული ისეთი ბავშვები, რომელთა შორის პარციალური ფუნქცი-
 ები ნორმალური იყო ან ნორმას აღემატებოდა კიდევც, რადგან ორგანიზმში შეყ-
 ვანილი ტუბერკულოზის გავლენა აშკარა ყოფილიყო. ასე, მაგალითად, გორგ-
 ლოვანი ფილტრაცია მერყეობდა 100,7 მლ/წუთიდან 113,1 მლ/წუთამდე, მილა-
 კოვანი რეაბსორბცია—97,9%-დან 99,1%-მდე, თირკმლის სისხლის დინება—
 415,5 მლ/წუთიდან 561,0 მლ/წუთამდე.

ბიოლოგიური რეაქციის 48 საათის შემდეგ 5-დან 4 შემთხვევაში აშკარა
 გახდა გორგლოვანი ფილტრაციის გაძლიერება მაშინ, როდესაც ერთ შემთხვე-
 ვაში იგი შესამჩნევად შემცირდა.

ტუბერკულოზის შეყვანასთან დაკავშირებით 3 შემთხვევაში მილაკოვანი
 რეაბსორბციაც მნიშვნელოვნად გაძლიერდა, თუმცა ადგილი ჰქონდა როგორც
 მის არაშესამჩნევ ცვლილებას (1 შემთხვევა), ისე დაქვეითებას (იმ შემთხვე-
 ვაში, რომელშიც გორგლოვანმა ფილტრაციამაც დაქვეითება განიცადა).

თირკმლის სისხლის დინება, როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველა შემთხვევა-
 ში საგრძნობლად გაძლიერდა.

ამრიგად, გამკვრივების ფაზაში არსებული ბრონქადენიტით დაავადებულ
 ავადმყოფებში ტუბერკულოზის შეყვანამ გამოიწვია თირკმლის პარციალური
 ფუნქციების საერთოდ და განსაკუთრებით, თირკმლის სისხლის დინების გაძ-
 ლიერება.

ინფილტრაციული ბრონქადენიტით დაავადებულებს გორგლოვანი ფილტ-
 რაცია 8 შემთხვევაში (6, 7, 8, 10, 11, 12, 13, 15) დაქვეითებული (23,7 მლ წუ-
 თიდან—68,6 მლ წუთამდე), ხოლო 2 შემთხვევაში (9, 14) მომატებული
 (128,2 მლ წუთიდან 146,9 მლ წუთამდე) ჰქონდათ.

ცხრილი 1

თირკმლის პარაცელური ფუნქციების მდგომარეობა ბიოლოგიურ რეაქციასთან (Mantoux) დაკავშირებით

№-№	გვარი, სახელი	ავადმე. ისტ. №№	ფილტრაცია მლ წუთში	რებრაცია % -ით	თირკ. სისხ. დინება მლ წუთში	ფილტრაც. ფრაქცია
-----	---------------	-----------------	--------------------	----------------	-----------------------------	------------------

გამკვრივების ფაზაში არსებული ბრონქადენიტის შემთხვევები ბიოლოგიურ რეაქციამდე და მის შემდეგ

1	მ. ნ.	461	102,2 116,3	98,5 98,9	561,0 702,4	0,18 0,19
2	მ. გ.	2542	113,1 137,6	98,9 99,2	418,0 825,2	0,27 0,19
3	ნ. ჯ.	653	109,5 125,5	97,9 99,1	444,9 745,9	0,25 0,17
4	ჯ. ლ.	763	103,7 61,1	99,1 98,6	415,5 600,2	0,24 0,1
5	მ. ირ.	28	100,7 128,8	98,1 99,3	507,1 527,4	0,20 0,24

ინფილტრაციული ბრონქადენიტის შემთხვევები ბიოლოგიურ რეაქციამდე და მის შემდეგ

6	ღ. ვ.	783	45,1 41,2	99,6 96,3	498,0 382,3	0,09 0,51
7	ბ. მ.	2715	23,7 15,2	97,8 96,2	416,3 214,4	0,056 0,07
8	შ. ელ.	441	58,6 37,3	96,8 96,8	896,2 246,2	0,065 0,11
9	ა. ლ.	181	146,9 67,0	96,3 97,8	888,8 364,9	0,17 0,19
10	ფ. ჯ.	1096	28,2 26,1	96,0 96,6	400,2 260,4	0,07 0,10
11	გ. თ.	2274	68,6 31,6	97,7 95,7	1861,4 269,3	0,042 0,12
12	ჯ. თ.	663	60,73 41,9	96,1 96,6	1048,2 376,7	0,058 0,11
13	ბ. კ.	212	44,4 96,8	96,6 98,2	343,6 475,5	0,13 0,20
14	დ. ნ.	1888	128,8 62,3	99,3 97,5	848,3 301,2	0,15 0,20
15	კ. თ.	1656	46,1 45,3	96,9 96,4	413,3 440,1	0,11 0,10

ექსუდაციური პლევრიტის შემთხვევები ბიოლოგიურ რეაქციამდე და მის შემდეგ

16	ფ. გ.	697	123,8 91,4	98,1 99,0	793,7 476,3	0,16 0,19
17	პ. გ.	909	85,1 79,3	96,5 97,5	2093,0 430,7	0,045 0,18
18	ბ. ე.	915	44,2 37,3	97,4 96,8	1974,0 346,3	0,22 0,11
19	ხ. ნ.	676	62,1 53,3	96,8 98,1	3288,0 347,4	0,019 0,15
20	ფ. ვ.	2997	69,75 65,4	95,4 97,4	2301,75 345,4	0,030 0,19



ტუბერკულინის შეყვანის შემდეგ გორგლოვანი ფილტრაციის დაქვეითება 7 შემთხვევაში (6,7, 8, 10, 11, 12, 15) კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა, 1 ავადმყოფს (13) გორგლოვანი ფილტრაცია გაუძლიერდა და ნორმის დაუბრუნდა, 2 შემთხვევაში (9,14) არსებული გაძლიერებული გორგლოვანი ფილტრაცია მნიშვნელოვნად დაქვეითდა და ნორმას შესამჩნევად ჩამორჩებოდა.

მილაკოვანი რეაბსორბცია 7 შემთხვევაში (6, 8, 10, 11, 12, 13, 15) დაქვეითებული (96,0—97,7%), 2 შემთხვევაში (9,14) მომატებული (99,0—99,3%), ხოლო 1 შემთხვევაში (7) ნორმალური (97,8%) იყო (იხ. ცხრილი 1).

ტუბერკულინის შეყვანის შემდეგ მილაკოვანი რეაბსორბცია დაქვეითდა, თუ არ ჩავთვლით ერთ ავადმყოფს (13), რომელსაც იგი გაუძლიერდა და ნორმას დაუბრუნდა და მეორე ავადმყოფს (8), სადაც რეაბსორბციამ ცვლილება არ განიცადა.

თირკმლის სისხლის დინება გაძლიერებული იყო 6 შემთხვევაში (6, 8, 9, 11, 12, 14), შენელებული—4 შემთხვევაში (7, 10, 13, 15).

ტუბერკულინის შეყვანის შემდეგ თირკმლის სისხლის დინება გაძლიერების ყველა შემთხვევაში შენელდა. გარდა ამისა, დაქვეითების 4 შემთხვევიდან 2 ავადმყოფს (7, 10) თირკმლის სისხლის დინება კიდევ უფრო შეუწინადა, ხოლო 2 ავადმყოფს (13, 15)—გაუძლიერდა.

ამრიგად, ინფილტრაციული ბრონქადენიტით დაავადებულთა შორის ტუბერკულინის შეყვანის შემდეგ აშკარა გახდა როგორც გორგლოვანი ფილტრაციისა და მილაკოვანი რეაბსორბციის დაქვეითება, ისე თირკმლის სისხლის დინების შენელება. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ თირკმლის პარციალური ფუნქციების გაძლიერების შემთხვევაში დაქვეითება განსაკუთრებით გამოიხატა, ხოლო ერთეულ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა როგორც გორგლოვანი ფილტრაციის (1 შემთხვევა), ისე მილაკოვანი რეაბსორბციისა (1 შემთხვევა) და თირკმლის სისხლის დინების (2 შემთხვევა) გაძლიერებას.

ექსუდაციური პლევრიტის შემთხვევებში გორგლოვანი ფილტრაცია 4 შემთხვევაში (17, 18, 20) დაქვეითებული (44,2—85,1 მლ წუთში), ხოლო 1 შემთხვევაში (16) მომატებული (123,8 მლ წუთში) იყო.

ტუბერკულინის შეყვანის შემდეგ გორგლოვანი ფილტრაცია ხუთივე შემთხვევაში დაქვეითდა.

მილაკოვანი რეაბსორბცია 4 ავადმყოფს (17,18, 19, 20) დაქვეითებული, ხოლო 1 ავადმყოფს (16) ნორმალური ჰქონდა.

ტუბერკულინის შეყვანის შემდეგ მილაკოვანი რეაბსორბცია 3 შემთხვევაში (16, 19, 20) გაძლიერდა, აქედან 1 ავადმყოფს (19) ნორმალური გაუხდა, ხოლო 2-ს (17, 18) — კიდევ უფრო დაუქვეითდა.

თირკმლის სისხლის დინება ხუთივე შემთხვევაში საგრძნობლად გაძლიერებული იყო (793,0—3288,0 მლ წუთში).

ტუბერკულინის შეყვანის შემდეგ ხუთივე შემთხვევაში თირკმლის სისხლის დინება მნიშვნელოვნად შენელდა (აქედან 1 შემთხვევაში ნორმას დაუბრუნდა).

ამრიგად, ექსუდაციური პლევრიტის შემთხვევებში ტუბერკულოზის შეყვანის შემდეგ თირკმლის პარციალური ფუნქციების (გორგლოვანი ფილტრაცია, მილაკოვანი რეაბსორბცია და თირკმლის სისხლის დინება) დაქვეითება დადასტურდა. საყურადღებო იყო მკვეთრად გაძლიერებული თირკმლის სისხლის დინების მნიშვნელოვანი შენელება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველადი ტუბერკულოზის შემთხვევებში ჩვენ მიერ დადგენილ იქნა თირკმლის პარციალური ფუნქციების პათოლოგიური გადახრა. ამიტომ უნდა გვეფიქრა, რომ ტუბერკულოზის შეყვანას თირკმლის ფუნქციური მდგომარეობის გაუარესება (დაქვეითება) უნდა გამოეწვივა.

თუ გავიხსენებთ ტუბერკულოზის სხვადასხვა ტიტრზე გამკვრივების ფაზაში არსებულ ბრონქადენიტით დაავადებულ ბავშვთა პარადოქსულ საპასუხო რეაქციას (ადგილობრივი, კეროვანი და ზოგადი საპასუხო რეაქციის სახით), გასაგები გახდება ავადმყოფთა ამ ჯგუფში ტუბერკულოზის სუსტ ტიტრზე თირკმლის პარციალური ფუნქციების გაძლიერება, რაც ორგანიზმის ერთიან საპასუხო რეაქციაზე, მის გარკვეულ მთლიანობაზე და ე. ი. ცენტრალური ნერვული სისტემის წამყვან როლზე მიგვითითებს.

სხვადასხვა სიმძლავრის ანტიგენზე ადეკვატურმა საპასუხო რეაქციამ გარკვეული გამოხატულება პოვა ტუბერკულოზის მძლავრ ტიტრზე ინფილტრაციული ბრონქადენიტით დაავადებული ბავშვების თირკმლის პარციალურ ფუნქციათა გაუარესების სახით. ამ შემთხვევაში კანის რეაქციასა და თირკმლების მხრივ საპასუხო რეაქციებს შორის გარკვეული დისოციაცია აღინიშნა.

ექსუდაციური პლევრიტით დაავადებულთა თირკმლის პარციალური ფუნქციები, შეიძლება ითქვას, გარკვეულ პარადოქსულ საპასუხო რეაქციაზე მიგვიითებდა, რაც ტუბერკულოზის მძლავრ ტიტრზე ძირითადად გაძლიერებული თირკმლის სისხლის დინების მნიშვნელოვან შენელებაში გამოხატა. უნდა აღინიშნოს, რომ ტუბერკულოზზე თირკმლის პარციალური ფუნქციების საპასუხო რეაქცია გარკვეული დისოციაციით ხასიათდებოდა.

ამრიგად, თირკმლის ფუნქციის ცვლილებები გარკვეულ კავშირში უნდა იყოს ტუბერკულოზურ პროცესთან და განსაკუთრებით მის შეცვლილ—ალერგიული რეაქციის დაძაბულობის ხარისხთან, რადგან ბიოლოგიური რეაქცია (Mantoux) გარდა ადგილობრივი, ზოგადი და კერობრივი რეაქციისა, იწვევს თირკმლის გორგლებისა და მილაკების ფუნქციური უნარის შეცვლას, ან ფუნქციათა შეხამების მოშლას.

დასკვნები

1. პირველადი ტუბერკულოზის სხვადასხვა ფორმების დროს ტუბერკულოზის შეყვანასთან დაკავშირებით, თირკმლის პარციალური ფუნქციების შესწავლით დასტურდება თირკმლის ნატიფი ფუნქციების ცვლილებების კავშირი ტუბერკულოზთან.

2. ტუბერკულოზზე კანის რეაქციის გარკვეული თვისებების გამოყენება კლინიკურ მონაცემებსა და თირკმლის პარციალურ ფუნქციებთან ერთად ორგანიზმში მიმდინარე ტუბერკულოზური პროცესის (იმუნოგენური თუ პათოგენური) შეფასების უფლებას გვაძლევს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
 ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 23.11.1965)

КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА

И. М. РЦХИЛАДЗЕ, Л. И. МХЕИДЗЕ

ПАРЦИАЛЬНЫЕ ФУНКЦИИ ПОЧЕК ПРИ ПЕРВИЧНОМ ТУБЕРКУЛЕЗЕ У ДЕТЕЙ В СВЯЗИ С БИОЛОГИЧЕСКОЙ РЕАКЦИЕЙ МАНТУ

Резюме

Выявлением нарушений парциальных функций почек при различных формах первичного туберкулеза в связи с введением туберкулина подтверждается связь тончайших функций почек с туберкулезом.

Положительная реакция кожи на туберкулин совместно с клиническими данными и результатами изучения парциальных функций почек позволяет дать оценку туберкулезному процессу, его иммуногенным и патогенетическим свойствам, на что указывают данные, полученные при изучении парциальных функций почек у 20 больных до реакции Манту и через 48 часов после проведения этой реакции. Следовательно, биологическая реакция Манту, кроме местной, общей и очаговой реакций, выявляет также нарушение функциональной способности почечных клубочков и канальцев.

კლინიკური მიმოხილვა

პ. ნიშნინიძე, შ. ბუბუაშვილი, პ. ჩავლიაშვილი

ოგამდეღა ომისუმადგომ პერიოდებში კრუპოზული პნევმონიის დაავადებულთა სისხლის სურათის ცვლილებათა შედარებითი შეფასებისათვის

(წარმოადგინა აკადემიკოსმა კ. ერისთავმა 7.9.1965)

მწვავე პნევმონიების მიმდინარეობაში აღნიშნულ მრავალრიცხოვან დარღვევათა შორის პერიფერიული სისხლის მდგომარეობა დღემდე იქცევს მკვლევართა ყურადღებას. ეს აიხსნება იმით, რომ პნევმონიის კლინიკურ-რენტგენოლოგიური გამოვლინების კომპლექსთან ერთად პერიფერიული სისხლის ცვლილებამ შეიძლება მოგვეცეს საშუალება ვიმსჯელოთ დაავადების სიმძიმესა და პროგნოზზე. მეორე მხრივ, ომისუმედგომ ხანაში სულფონამიდებისა და ანტიბიოტიკურ საშუალებათა ფართო გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეცვალა პნევმონიების ბაქტერიული ფლორა, ანატომიურ-ფიზიოლოგიური გამოვლინება და გამოსავლის ხასიათი. ამას არ შეეძლო არ გამოეწვია ცვლილებები კრუპოზული პნევმონიის დროს ცნობილი სისხლის სურათში. მართლაც, რიგ მკვლევარების მიერ ასეთი ცვლილებები ნახული იყო.

ჩვენ მიერ შესწავლილია ომამდელი 14 წლის განმავლობაში (1927—1940 წწ.) კლინიკაში ნამკურნალებ კრუპოზული პნევმონიით 618 დაავადებულის და ომისუმედგომ, ასევე 14 წლის განმავლობაში (1946—1960 წწ.) ნამკურნალებ 330 ავადმყოფის ისტორიები და დაავადების პირველ დღეებში წარმოებული სისხლის გამოკვლევის შესაბამისი მონაცემები.

ომამდელ პერიოდში ნამკურნალებ ავადმყოფთაგან წითელი სისხლი შესწავლილი იყო 23 შემთხვევაში (3,7%). ერთიოციტების რაოდენობის დაკლება (4,5 მილიონზე ნაკლები კუბ. მმ-ში) და ჰემოგლობინის დაკლება (80% ნაკლები სალით) აღნიშნულია 21,7%, ხოლო მატება (შესაბამისად 5 მილ. და 90%-ზე მეტი)—8,3%. ომისუმედგომ ნამკურნალებ ავადმყოფთაგან წითელი სისხლი გამოკვლეულია 245 შემთხვევაში (74,2%). მათგან ამ რაოდენობრივ მონაცემების დაკლება აღინიშნება 15,4%-ში, ხოლო მომატებას ადგილი არ ჰქონია.

ომამდელ პერიოდში ედრ არ გამოკვლეულა, ომისუმედგომ კი გამოკვლეულით 266 ავადმყოფს (80%). ნორმალური ედრ აღინიშნა 12,7%-ში, შენელება—9,8% და აჩქარება—77,5%; ამასთანავე აჩქარების შემთხვევაში იგი მეტწილად (69,5%) 20 მმ/საათში მეტი იყო.

ომამდელ პერიოდის ავადმყოფთაგან ლეიკოციტების რაოდენობა გამოკვლეული ჰქონდა 300 ავადმყოფს (48%), აქედან ლეიკოციტების ნორმალური რაოდენობა (6—8 ათასი კუბ. მმ) აღმოჩნდა 43 ავადმყოფს (14,3%), ლეიკოპენია—2 (0,7%), და ლეიკოციტოზი—255 (85,0%). ამ უკანასკნელთაგან 10 ათასამდე ლეიკოციტები აღმოჩნდა 54 ავადმყოფს (21,2%), 12 ათასამდე—40 (15,6%), 14 ათასამდე—32 (12,6%), 16 ათასამდე—26 (10,2%), 18 ათასამდე—28 (11,0%), 20 ათასამდე—16 (6,2%), 22 ათასამდე—32 (12,5%) და ზევით—27 (10,7%).

ომისშემდგომ თეთრი სისხლი შესწავლილი იყო ყველა შემთხვევაში. ლეიკოციტების ნორმალური რაოდენობა დადგინდა 64 შემთხვევაში (19,4%), ლეიკოპენია—93 (28,2%), და ლეიკოციტოზი—173 (52,4%). უკანასკნელთაგან 10 ათასამდე კუბ. მმ-ში შეგვხვდა 53 შემთხვევაში (30,0%), 12 ათასამდე—38 (22,0%), 14 ათასამდე—43, (24,8%), 16 ათასამდე—24 (14,0%), 18 ათასამდე—10 (5,8%), 20 ათასამდე—5 (2,8%) და ზევით—1 (0,6%).

ომამდელ პერიოდის ავადმყოფებში ლეიკოციტური ფორმულა შესწავლილი იყო 298 შემთხვევაში (48,0%). ნეიტროფილოზი აღნიშნულია ყველა შემთხვევაში, მაგრამ იგი მიმდინარეობდა ძირითადად სეგმენტბირთვიანი ნეიტროფილების ხარჯზე, ხოლო ბირთვის მარცხნივ გადახრა შემოიფარგლა უპირატესად ჩხირბირთვიანი ნეიტროფილების რიცხვის მომატებით. ნეიტროფილების რაოდენობის 64%-ზე მეტი მომატება ფორმულაში აღინიშნა შემთხვევათა 66,8%, ხოლო 72%-ზე მეტი—37,9%, ისე რომ ნორმალური რაოდენობა შეგვხვდა შემთხვევათა 33,2%-ში.

ჩხირბირთვიანი ნეიტროფილები აღინიშნა 295 შემთხვევაში, ხოლო მათგან 4—8%-ის და 8%-ზე მეტი შეცულობით—7,0% და 7,8% შეგვხვდა, შესაბამისად. ახალგაზრდა ფორმები ნახული იყო 34 შემთხვევაში (11,4%), მათგან 4%-ში შეცულობა — 82,3%-ში და 4—8%—17,7%-ში.

ლიმფოციტოპენია (20%-ზე ნაკლები რაოდენობა) დადგინდა 58,0%-ში, ნორმალური რაოდენობა ლიმფოციტებისა—32,0% და ლიმფოციტოზი (35%-ზე მეტი)—10,0%. რადგან ამ პერიოდში გვქონდა ლეიკოციტოზის შემთხვევათა აბსოლუტური ჭარბობა, ლიმფოციტოზიც აბსოლუტურად უნდა ჩაითვალოს მათი პროცენტული მომატების შემთხვევებისათვის, ნორმოლიმფოციტოზის შემთხვევები — კი შეიძლება შედარებით ლიმფოციტოზის მდგომარეობითაც წარმოვიდგინოთ.

მონოციტები მეტწილად 6%-ზე ნაკლები იყო (68,2%), ნორმალური რაოდენობა მათი (6—8%) შეგვხვდა 28,3%-ში, ხოლო მონოციტოზი—3,5%-ში.

ანეოზინოფილია შეგვხვდა 22,1%-ში, ეოზინოფილია—19,5% და ნორმალური რაოდენობა ეოზინოფილებისა (4%-მდე)—58,4%.

ომისშემდგომ პერიოდში ყველა შემთხვევაში გამოთვლილი ფორმულა კვლავ ნეიტროფილოზს გვიჩვენებს (მაგრამ ნაკლებ შემთხვევაში), რომელიც უპირატესად სეგმენტბირთვიანი ნეიტროფილების ხარჯზე მიმდინარეობს, ხოლო მათი ბირთვის გადახრა ჩხირბირთვიანი ნეიტროფილების ხარჯზე (და არა ახალგაზრდა ნეიტროფილების ხარჯზე) ხდება. 64%-ზე მეტი სეგმენტბირთვი-

ანი ნეიტროფილები აღინიშნება მხოლოდ 21,8%-ში, 72%-ზე მეტი—13,6%. მასასადამე, სეგმენტბირთვიანი ნეიტროფილების ნორმალური პროცენტი გვიჩვენებს ავადმყოფების 78,2%-მა.

ჩხირბირთვიანი ნეიტროფილები აღმოჩნდა 326 შემთხვევაში. მათგან 4—8% რაოდენობით შეგვხვდა შემთხვევათა 14,4%-ში და 8%-ზე მეტი—9,5%. ახალგაზრდა ნეიტროფილების არსებობა დადგენილია მხოლოდ 12 შემთხვევაში (3,6%) და მაშინაც მათი რაოდენობა არ აღემატება 4%.

ლიმფოპენია აღინიშნა 55,8%-ში, ნორმალური რაოდენობა ლიმფოციტებისა—30,2% და ლიმფოციტოზი—14,0%. რადგან ლეიკოციტოზი ომისშემდგომ პერიოდში უფრო ზომიერი გვხვდებოდა, ლიმფოციტოზის შემთხვევებიც; აბსოლუტური ლიმფოციტოზის მეტ ზომიერებას უნდა გვიჩვენებდეს.

მონოციტები დადგენილი იყო ფორმულაში 320 შემთხვევაში. ჭარბობდა მონოციტოპენია (62,5%), მაშინ როდესაც მონოციტოზი 14,4%-ში შეგვხვდა, ხოლო ნორმალური რაოდენობა მონოციტებისა—23,1%.

ანეოზინოფილია აღმოჩნდა 14,0%-ში, ეოზინოფილია—16,9% და ნორმალური რაოდენობა ეოზინოფილებისა—16,6%.

ომამდელი და ომისშემდგომი მასალის გარჩევა და შედარება გვიჩვენებს, რომ ომისშემდგომ პერიოდში კრუპოზული პნევმონიით დაავადებულებში აღინიშნება ჰემოგლობინისა და ერითროციტების რაოდენობის დაკლების მაჩვენებელ შემთხვევათა გარკვეული შემცირება, ხოლო მომატების მაჩვენებელ შემთხვევათა გაქრობაც კი. ეს გვიჩვენებს წითელი სისხლის მიდრეკილებას ნორმალიზაციისაკენ. ედრ-ი მიდრეკილია მომატებისაკენ.

ლეიკოციტების ნორმალური და დაკლებული რაოდენობის მაჩვენებელ შემთხვევათა პროცენტმა ომისშემდგომ პერიოდში მოიმატა, სამაგიეროდ, ლეიკოციტოზისა — შემცირდა. უკანასკნელთა შორის ვხედავთ ჰიპერლეიკოციტოზის (18000-ზე მეტი) შემთხვევათა დაკლებას. მსუბუქი ლეიკოციტოზის (12 ათასამდე) და ზომიერი ლეიკოციტოზის (12—18 ათასი) შემთხვევები მატულობს.

ომისშემდგომი პერიოდის ავადმყოფთა ლეიკოციტარულ ფორმულაში შემჩნეულია 64%-ზე მეტი ნეიტროფილების პროცენტული შეცულობის მომატების მაჩვენებელ შემთხვევათა შემცირება თითქმის ერთი სამად; ამას მივყავართ მათი ნორმალური რაოდენობის მაჩვენებელ შემთხვევათა ერთიორად მატებისაკენ. შემჩნეულია ჩხირბირთვიანი ნეიტროფილების 4%-ზე მეტი შეცულობის მაჩვენებელ შემთხვევათა თითქმის ერთორად მატება, ხოლო ახალგაზრდა ნეიტროფილები ფორმულაში სამჯერ ნაკლებად გვხვდება, ვიდრე ომამდ. ამასთანავე, თუ ომამდე ახალგაზრდა ნეიტროფილები 4%-ზე მეტი რაოდენობით რამდენჯერმე მაინც შეგვხვდა, ომისშემდგომ ასეთი სულ აღარ გვხვდება.

ლიმფოციტების ნორმალური რაოდენობა, ლიმფოპენია და ლიმფოციტოზი თანაბარი პროცენტული შეფარდებით შეგვხვდა ორივე პერიოდში. მაგრამ ომამდელ პერიოდში ლეიკოციტოზის ჭარბი გამოვლინების გამო ამავე პერიოდში აღნიშნული ლიმფოციტოზი აბსოლუტურ ლიმფოციტოზადაც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ.

მონოციტების ნორმაზე მეტი პროცენტული შეცულობა ომისშემდგომ 4-ჯერ ხშირად გვხვდება, ვიდრე ომამდე. ეს შეიძლება აიხსნას მონოციტების ნორმალური და დაკლებული პროცენტული რაოდენობის მაჩვენებელ შემთხვევათა მცირედი დაკლებით.

ომისშემდგომ ანეოზინოფილიის შემთხვევათა პროცენტი შემცირდა, ისევე, როგორც ეოზინოფილიისა, სამაგიეროდ, ეოზინოფილების ნორმალური რაოდენობის მაჩვენებელი შემთხვევები მატულობს.

თუ შევეცდებით შევადაროთ მიღებული მონაცემები ლიტერატურაში არსებულთან, ვნახავთ, რომ ომისშემდგომ პერიოდში კრუპოზული პნევმონიით დაავადებულებში მართლაც ნახულია პერიფერიული სისხლის ცვლილებები შედარებით ომამდელ პერიოდთან (ა. გუკასიანი და მ. ტურკელტაუბი; ნ. დუბოვეცი; ა. ვაპრა; ნ. მოლჩანოვი; ე. სკარლატო და ნ. ციმერმანი; მ. ტუშინსკი; პ. ფედოტოვი; გ. მალცევი). აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ჩვენი მონაცემებით სისხლის ცვლილებანი ცალკეულ დეტალებში განსხვავდება ამ ავტორთა მონაცემებისაგან.

განხილული მასალა გვაძლევს უფლებას გვაკეთოთ დასკვნა, რომ ომისშემდგომ პერიოდში კრუპოზული პნევმონიის მიმდინარეობაში აღინიშნება პერიფერიული სისხლის სურათის ცვლილებები, რომელიც სხეულის რეაქტიულობის შეცვლისა და სულფონამიდურ-ანტიბიოტიკურ საშუალებათა ფართო ხმარების შედეგი უნდა იყოს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 7.9.1965)

КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА

П. Г. НИШНИАНИДЗЕ, Ш. И. ГУГЕШАШВИЛИ, П. М. ЧАВЕЙШВИЛИ

К СРАВНИТЕЛЬНОЙ ОЦЕНКЕ ИЗМЕНЕНИЙ КАРТИНЫ КРОВИ БОЛЬНЫХ КРУПОЗНОЙ ПНЕВМОНИЕЙ В ДО- И ПОСЛЕВОЕННОМ ПЕРИОДАХ

Резюме

Разработаны данные картины крови 618 больных довоенного и 330—послевоенного периодов. Срок каждого периода—14 лет.

Установлено, что в послевоенном периоде: 1) уменьшилась частота случаев с пониженным количеством гемоглобина и эритроцитов, 2) уменьшилось количество случаев лейкоцитоза (особенно гиперлейкоцитоза) и увеличилось количество случаев с нормальным и уменьшенным содержанием лейкоцитов, 3) уменьшилась частота случаев с нейтрофилезом в 3 раза, 4) уменьшилась частота случаев с избыточным количеством палочкоядерных и юных нейтрофилов в 2—3 раза, 5) увеличилась частота случаев с моноцитозом и 6) уменьшилась частота случаев анэозинофилии, так же как и эозинофилии.

6. ბრეზაძე

საქართველოში სიმინდის კულტურის შემოტანის ისტორიის
საკითხისათვის

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ჩიტაიამ 22.10.1965)

სიმინდის კულტურის წარმოშობისა და გავრცელების საკითხი მრავალი მეცნიერის კვლევის საგნადაა ქცეული. კარგა ხნის განმავლობაში სიმინდი ახალ სამყაროში წარმოშობილად ითვლებოდა და ძველ სამყაროში მის შემოტანას კოლუმბის მოგზაურობას უკავშირებდნენ. შემდეგ ზოგი მეცნიერი დაეჭვდა ზემომოყვანილი მოსაზრების სისწორეში. გამოითქვა სხვადასხვა შეხედულება, მათ შორის ვარაუდი სიმინდის აზიური წარმოშობილობისა და აქედან წყნარი ოკეანის გზით ამერიკაში მისი გავრცელების შესახებ, რასაც საფუძველს უმაგრებს ცნობები წყნარ ოკეანეში მცურავ დახელოვნებულ მეზღვაურებზე. თუმცა ამ თეორიის ავტორები, სტონორი და ანდერსონი, ჯერ კიდევ სავსებით დასაბუთებულად არ მიიჩნევენ სიმინდის ამერიკული წარმოშობის უარყოფასა და აზიურობის მტკიცებას (საკითხს სიმინდის წარმოშობის კერის შესახებ ჯერჯერობით გადაუწყვეტლად მიიჩნევენ), მაგრამ ამ ორ კონტინენტს შორის კავშირის კოლუმბამდე არსებობისა და წყნარი ოკეანის გზით სიმინდის აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ან, პირუკუ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გავრცელების მოსაზრებაზე კი მტკიცედ დგანან [1].

ასევე იცავს და ავითარებს ძველ სამყაროში სიმინდის კოლუმბამდე გავრცელების მოსაზრებას მ. ჯეფრისონი. იგი სათანადო მასალათა გადასინჯვა-მოშველებით ასკვნის, რომ ძალიან ხშირია სიმინდის შესახებ ცნობები შუა საუკუნეების ამ პერიოდის ქრონიკებში, როდესაც ძველი სამყაროს მკვიდრთ ჯერ კიდევ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ ამერიკის არსებობაზე [1].

შედარებით მცირე ხნის განმავლობაში აზიაში სიმინდის მრავალი სახეობის წარმოქმნამ კულეშოვსაც დააშვებინა ძველ სამყაროში სიმინდის კოლუმბამდე ბევრად ადრე შემოტანის შესაძლებლობა [2]. მის მიერ აღწერილ იქნა სიმინდის ახალი ქვესახეობა, რომელსაც დღემდეც კი ზოგი მეცნიერი აღმოსავლეთ აზიაში კოლუმბამდე ბევრად ადრე გავრცელებულად ან სულაც აზიურ ენდემად მიიჩნევს [3]. პ. უუკოვსკი კი, მიიჩნევს რა ამერიკის სიმინდის სამშობლოდ, თვლის, რომ ძველ სამყაროში სიმინდის კოლუმბამდე გავრცელება არაა დასაბუთებული. ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი გარემოება, კერძოდ, ფაქტი, რომ მექსიკაში 70 მ-ზე უფრო ღრმა ფენაში ნაპოვნია სიმინდის მტკრი-



ანა, რომლის ასაკი 60.000 წელია. პ. უუკოვსკის ვარაუდით, იგი ამჟამად გადაშენებული გარეული სიმინდის ნაშთია [3].

სიმინდის წარმოშობა-გავრცელების შესახებ არსებულ მოსაზრებათა ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, რომ სადღეისოდ საკითხი აზიური სიმინდის წარმოშობილობისა და ასაკის შესახებ საბოლოოდ გარკვეული არაა. მიუხედავად ამისა, მაინც აშკარაა, რომ რამდენაღმე ახლებურად დადგა მკვლევართა წინაშე სიმინდის კულტურის შესწავლის საკითხი და ძველი სამყაროს ქვეყნებში, სადაც სიმინდის არსებობას მხოლოდ XV საუკუნის მიწურულიდან ვარაუდობდნენ, შესაძლებელია დადგენილ იქნეს გაცილებით ღრმა ფესვები. ამ საკითხის გარკვევაში კი ბოტანიკოსებთან, არქეოლოგებთან და ენათმეცნიერებთან ერთად არა ნაკლებ საინტერესო სამუშაო ელით ხალხის ყოფისა და კულტურის შესწავლულ ეთნოგრაფებს.

სიმინდის კულტივირების საქმეში საქართველოს როლის შესახებ შემდეგ მონაცემებთან გვაქვს საქმე. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევს გამოითქვა აზრი კავკასიაში სიმინდის კულტურის სიძველის შესახებ. სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოებაში ეს საკითხი წამოჭრა პანტიუხოვმა, შემდეგ კი 1895 წლის „Кавказ“-ში გამოქვეყნდა ა. ნატროევის წერილი, რომელშიც ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ საქართველოსათვის სიმინდი მსგავსად ხორბლისა, ბრინჯისა, ფეტვისა და ქერისა უძველესი კულტურაა. [4] ა. ნატროევის ეს მოსაზრება საჭიროებს გაცილებით მეტ არგუმენტაციას, ვიდრე მის მიერ მოტანილი საბუთებია (სხვა რომ არ იყოს რა, ბერძნულ წყაროებში ნახსენებები ξεια ასლის აღმნიშვნელია [5] და არა სიმინდისა, როგორც ამას ა. ნატროევი ფიქრობდა). მაგრამ ეს წერილი თავისთავად საინტერესოა საკითხის დასმის თვალსაზრისით, მით უფრო, რომ ვანის არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი სამკაულის, ანტიკური ხანის ყელსაბამის, ნაწილები ჰგავს სიმინდის ტარებს[1].

ცხადია, ანტიკური ხანის საქართველოში სიმინდის არსებობის, ისიც კულტივირების, შესაძლებლობა ექვს გამოიწვევს და ჯერჯერობით არა თუ რაიმე გარკვეულის თქმა, ვარაუდის გამოთქმაც კი ძნელია საქართველოში სიმინდის უძველესი დროიდან გავრცელების შესახებ (ეს საკითხი მომავალი კვლევა-ძიების საგანია), მაგრამ მაინც არ მოვერიდე აქ ზემომოტანილი მასალის მოხსენიებას, რამდენადაც უკანასკნელი ხანების გამოკვლევათა შედეგად კულტურულ მცენარეთა ისტორიის შესწავლაში შესაძლებელი გახდა კორექტივების შეტანა და აღრე დაუშვებლად მიჩნეული ფაქტების აღიარება. მაგალითად, პომპეისა და ჰერკულანუმის გათხრების დროს აღმოჩენილ, რომის იმპერიის ხანის ფრესკებზე გამოსახულია არა მარტო ძველი სამყაროს კულტურული ფლორის წარმომადგენლები, არამედ ამერიკის მცენარეებიც.

როგორც პ. უუკოვსკი აღნიშნავს, მართალია, ბოტანიკოსისათვის ძნელი, შეუძლებელიც კი არის დაუშვას, რომ ჩვენს ერამდე მცხოვრები რომაელები იცნობდნენ ამერიკის ტროპიკული განედების მცენარეებს, მაგრამ ლიმონის ხის

(1 მასალის მოწოდებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ ვანის არქ. ექსპედიციის ხელმძღვანელს ნ. ზო შ ტ ა რ ი ა ს.

(მეტად ტიპური ნაყოფით) შესანიშნავად გამოსახული ფრესკა იმდენად დამაჯერებელია, რომ სავსებით უკუაგდებს ჩვენს წარმოდგენას ხმელთაშუაზღვის სამყაროში ლიმონის გვიანდელი გავრცელების შესახებ [3].

ლ. დეკაპრელევიჩისა და ვ. მენაბდის მიხედვით, სიმინდი საქართველოში უნდა შემოსულიყო XVII ს. დასაწყისში [6]. პ. გუგუშვილის აზრითაც, სიმინდი საქართველოში უნდა გაჩენილიყო XVII ს. მეორე და არა პირველ ნახევარში [7], როგორც ამას აკად. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა. ივ. ჯავახიშვილისავე აზრით, სიმინდი საქართველოში უნდა შემოსულიყო ფქვილის და არა მარცვლის სახით და სწორედ ამიტომაც სახელად მიიღო ძველთაგანვე ფქვილის აღსანიშნავად ხმარებული სიტყვა—სამინდალი||სამინდო||სამინდაჲ [8]. იმავე აზრს იზიარებს ს. ჯიქია [9].

ამგვარია დაახლოებით, საქართველოში სიმინდის გავრცელების შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი. საკითხის ერთი მხარე, რომელიც ეხება საქართველოში სიმინდის გავრცელების დროს, ცხადია, ჯერ კიდევ მოითხოვს კვლევასა და გარკვეულ დამატებით საბუთიანობას. ამიტომ ამჟამად მას არ განვიხილავ. რაც შეეხება საქართველოში სიმინდის თავდაპირველად ფქვილის ან მარცვლის სახით შემოსვლა-გავრცელებას, საკითხის ეს მხარე სათანადო მასალის გადასინჯვის საფუძველზე იწვევს შემდეგ ვარაუდს: ძნელი საფიქრელია, რომ ახალი კულტურის გავრცელება საქართველოში მომხდარიყო თავდაპირველად ფქვილის შემოტანის გზით [10].

სიმინდის ფქვილის თვისების გათვალისწინებით (დიდხანს ვერ ძლებს, მწარდება), ეჭვი საქართველოში სიმინდის თავდაპირველად ფქვილის სახით გავრცელებასთან დაკავშირებით მართებულად გამოთქმულია ბ. ხასიასა [11] და ლ. გიორგაძის [12] შრომებშიც. მართალია, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილისა და პროფ. ს. ჯიქიას გამოკვლევებიდან ჩანს, ძველ ტექსტებში სიტყვა სამინდაჲ ფქვილის მნიშვნელობით გვხვდება [8,9], მაგრამ ჯერ კიდევ აკად. ი. ორბელიმ გამოთქვა აზრი, რომ ფქვილის აღმნიშვნელი ბერძნული „სემიდალის“ (1 შესაძლებელია, დროთა განმავლობაში რაიმე გარკვეული მარცვლეულის გამოხატველ სახელწოდებად ქცეულიყო. მოყავს რა ამონაწერები გალენუსის, არისტოფანესა და პოლიდეკის ბერძნული ტექსტებიდან, ი. ორბელი მათი განხილვის შემდეგ ასკვნის, რომ იქ ნახსენები *σείμιδαλις* არ შეიძლება ფქვილის შესატყვისი იყოს და გამოხატავს რომელიც მარცვლეულს, ხოლო კერძოდ რომელს, ეს საკითხი ი. ორბელს კვლევის ცალკე საგნად მიაჩნია [13].

(1 ქართულ ძველებში ნახშირი სამინდალ-სემიდალი ბერძნული *σείμιδαλις*-ის სახესხვაობად ითვლება. სიმინდი და სიმინდი კი არაბული გზით შემოსულ სიტყვებადაა მიჩნეული და მას გენეტიკურად ბერძნულ სემიდალის უკავშირებენ [9]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ი. ორბელი *semidal-simila-simid*-ს ქართულ ენობრივ სინამდვილეში წარმოშობილად და აქედან სხვათა ენებში გავრცელებულად თვლის [13]. მის ამ მოსაზრებას ს. ჯიქია არადამაჯერებლად მიიჩნევს [9]. ვფიქრობ, საკითხი სიმინდ-სემიდალისის სადაურობის შესახებ გადასინჯვას მოითხოვს (სხვა რომ არა იყოს რა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს სახელწოდება უკავშირდება თბევლეს, პირველად პურეულ კულტურას, ზანდურს, რომელიც აბორიგენური და ენდემურია საქართველოსათვის); იგი ცალკე კვლევის საგანია და ამიტომ ამჯერად არ იქნება განხილული.

ზემოთქმულთან დაკავშირებით, თუ გავიხსენებთ პლინიუსის აღნიშვნას, რომ ლათინურში სიტყვა ფქვილი — *farina* — ასლისაგან [*far*] წარმოიშვა (1 [5], დასაშვები გახდება ვიფიქროთ, რომ იქნებ ბერძნებთანაც თვით მარცვლეული კულტურის სახელწოდებიდან წარმოიშვა ფქვილის სახელი და ყოფამ ორგვარი გააზრებით აითვისა ტერმინი *σφαῖρα*, რაც ბუნებრივი ჩანს. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია ფქვილს მიეცა მისი მარცვლეული მასალისათვის სახელწოდება. ხოლო მარცვლეულისა და მისი ნაწარმის ერთი სახელით აღნიშვნა ჩვეულებრივი გამოჩნდება, თუ გავიხსენებთ ჩვენსავე ყოფაში დამოწმებულ სიტყვებს. მაგალითად, პური ეწოდება როგორც მარცვლეულ მასალას, ხორბალს, ისევე მისი ფქვილისაგან გამომცხვარ პროდუქტსაც; ღომი ეწოდება მარცვლეულსაც და მისგან გაზადებულ საჭმელსაც; ასევე, მკადი ჰქვია ფეტვსაც და მის ნამცხვარსაც. ლათინურში სიტყვები *far* და *siligo* ნიშნავს როგორც მარცვლეულ მასალას, ისე ფქვილს [15]. გარდა ზემოთქმულისა, თუ გავიხსენებთ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში [16] მოცემულ განმარტებებს — „სამინდალი ბერძულია, ქართულად ზანდური ჰქვან, რომელ არს თათუხი“ და „სამინდო ესე არს ზანდურის ფქვილი“, ამკარად დავინახავთ, რომ თვით საბას მიხედვითაც სამინდალი ზანდურია, ე. ი. მარცვლეულის და არა ფქვილის გამომხატველი სიტყვაა, ხოლო მისი ფქვილი სამინდოა. და თუ ზოგ შემთხვევაში სემიდალი||სამინდალი ფქვილს აღნიშნავდა [8,9], შეიძლება სხვა შემთხვევაში იგი უკვე მარცვლეულის, კერძოდ, კი ზანდურის, სახელაუ იხმარებოდა. მაშინ იქნებ შეიძლებოდეს ბერძნულ ტექსტებში მარცვლეულის გაგებით ნახმარი *σφαῖρα*-ის მნიშვნელობის დადგენა, მით უფრო, რომ ზანდური, როგორც კილიანი ხორბლის წარმომადგენელი, ერთ-ერთი უძველესი კულტურაა.

ორიოდე სიტყვით განვმარტოთ თვით ზანდურის რაობა. უძველესი, ხორბლის პირველადი სახეობის, კილიანთა ჯგუფის წარმომადგენელი — ზანდური — მომაკვდავი კულტურაა. იგი ენდემურია დასავლეთ საქართველოსათვის. ზანდური ცნობილია, როგორც გვალვა- და ყინვაგამძლე, დაავადებათა მიმართ იმუნიტეტის მქონე მცენარე. მართალია, ზანდური მოსავლიანობით ვერ შეედრება შიშველთესლიანებს (იფქლი, ხულუგო), მაგრამ სამაგიეროდ, იშვიათი ხარისხის ხორბლადაა მიჩნეული. მისგან დებულობენ საუცხოო, უმაღლესი ხარისხის თეთრ ფქვილს, თუმცა ნამცხვარს

(1 მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, კილიანი ანუ ასლივებური მარცვლეული წარმოშობილია შიშველთესლიანი რბილი ხორბლისაგან. მაგრამ ბოტანიკურ, არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალაზე დამყარებულმა უკანასკნელი ხანების გამოკვლევებმა ცხადყო, რომ კილიანთა სახით საქმე გვაქვს უძველეს, კულტურაში პირველად შემოსულ ხორბლულთან, თანამედროვე შიშველთესლიანთა პროტოტიპებთან [14, 10]. ამ გარემოებასთან დაკავშირებით საყურადღებოა ჩანს ფაქტი, რომ ლათინურში სიტყვა ფქვილი ასლის აღმნიშვნელი სიტყვისაგანაა ნაწარმოები. ეს გარემოება თავის მხრივ, შესაძლებელია იმის მანიშნებელი იყოს, რომ სწორედ კილიანთა მარცვლეულია პირველადი ხორბლულთა შორის, რომ იგი შიშველთესლიანებზე ადრეულაა თავისი წარმოშობით. თუ ანა, მაშინ გამოდის, რომ ეს ლანგვისტური მასალაც ბოტანიკური, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემების კიდევ ერთი დამადასტურებელია.

მოყვითალო ფერი დაკრავს. ხასიათდება სინოცივრითა და იშვიათი სურნელოვნებით. გამოცხობისას ახასიათებს ნაკლებბეწვიანობა, რის გამოც თონეში ვერ აკრავენ. მაგრამ მისი პური დიდხანს არ ხმება, მთელი კვირის გასაწვლობაში ინარჩუნებს სირბილეს [14].

„წიგნი საქიმოჲში“ ნახმარი გამოთქმა — „სიმინდის ფქვილი“—პროფ. ს. ჯიქიას აზრით, ნიშნავს უმაღლესი ხარისხის ფქვილს. და აქ სიტყვა სიმინდი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიაზროთ როგორც ფქვილის მარცვლეული მასალა [9]. მაგრამ, თუ სიტყვა სიმინდი ამ შემთხვევაშიც ფქვილის (და ისიც უმაღლესი ხარისხის) მნიშვნელობით გავიაზრეთ, მაშინ გაიგივებული მსაზღვრელ-საზღვრულის რამდენადმე არაბუნებრივ შეთანხმებასთან გვექნება საქმე. გამოვა — „უმაღლესი ხარისხის ფქვილის ფქვილი“, რაც საეჭვოდ გამოიყურება. იქნებ აქ ამოვიკითხოთ „ზანდურის ფქვილი“, რომელიც მართლაც და უმაღლესი ხარისხისაა (რაზედაც ზემოთ იყო საუბარი).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ დავუშვებთ, რომ ჩვენში გარკვეულ ხანაში სიმინდი ერქვა სწორედ ზანდურს, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ შემდეგში ამ მცენარის სახელი მიითვისა და დაიმკვიდრა ახლად-შემოსულმა კულტურამ — *Zea mays* L. — რომლის ნამცხვარი მტვრევალობით, უბეწვობა-უძარღვობითა და ფერითაც (ზანდურის პური ხომ მოყვითალოა, სიმინდი კი სწორედ ყვითელი გავრცელდა თავდაპირველად) ჰგავს ზანდურის ნამცხვარს. აქვე მინდა მოვიყვანო სტ. მენთეშაშვილის მოსაზრებაც: რადგან თავთუხის პურიც ფშვანადი, ჭადისმაგვარი და ფერითაც მოყვითალოა, ამიტომ იქნებ ახლად შემოსულ მცენარეს თავთუხის სახელი—სამინდო (იხ. საბასეული განმარტება) დარქმეოდა [17]. მაგრამ ვინაიდან სიმინდმა საქართველოში თავდაპირველად დასავლეთში შემოაღწია, აქ კი თავთუხი შედარებით ნაკლებადაა ცნობილი (ამასთან თვით მას ზომ ვვიან შემოსულ კულტურად მიიჩნევენ) [8], ზანდური კი საკმარისად გავრცელებული და ფრიად საპატიო მარცვლეული ჩანს [14, 10], ამდენად სავარაუდებელია, რომ სწორედ ამ უკანასკნელმა დაუთმო *Zea mays*-ს თავისი მეორე სახელი — სიმინდი.

ზემომოყვანილი მსჯელობის შემდეგ შეიძლება იმ მოსაზრებათა განხილვა, რომლებიც გამოთქმული აქვს ბ. ხასიას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ეს ავტორი მცდარად თვლის ივ. ჯავახიშვილის ცნობას, რომ სიტყვა სიმინდს ფქვილის მნიშვნელობა ჰქონდა, ვარაუდობს სიმინდის წინამორბედი კულტურის არსებობას, რომელიც მცენარის ფორმითა და ნაყოფის მოყვანილობით ჰგავდა სიმინდს და რომელმაც დაუთმო ამ უკანასკნელს სახელი. შემდეგ კი რამდენადმე ბუნდოვანი მსჯელობის შედეგად და ჩემს ნაშრომზე დაყრდნობით* [14] მიდის დასკვნამდე, რომ სიმინდს თავისი სახელწოდება ზანდურისაგან უნდა მიეღო [11].

ბ. ხასიას შეხედულება, რომ სიტყვა სიმინდს არ შეიძლებოდა ჰქონოდა ფქვილის მნიშვნელობა, არაა მართებული (ყოველ შემთხვევაში, ამას დასაბუთება სჭირდება). როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, დასაშვებია არა სიტყვა სიმინდის ფქვილის მნიშვნელობის უარყოფა საერთოდ, არამედ ამ სიტყვისათვის მეორეგვარი მნიშვნელობის (მარცვლეული) ვარაუდიც. რაც შეეხება სი-

მინდის წინამორბედი კულტურის არსებობას, რომელმაც მას დაუთმო თავისი სახელი, სავარაუდებელია ასეთი მართლაც ყოფილიყო ზანდური (ცხადია, წინამორბედი არა ბოტანიკური თვალთახედვით), მაგრამ ეს მცენარე (თუ ავტორი მას გულისხმობს) არც ფორმითა და არც ნაყოფის მოყვანილობით არა ჰგავს სიმინდს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
 ივ. ჯავახიშვილის სახელობის
 ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
 ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 22.10.1965)

ЭТНОГРАФИЯ

Н. А. БРЕГАДЗЕ

К ВОПРОСУ ОБ ИСТОРИИ РАСПРОСТРАНЕНИЯ КУЛЬТУРЫ КУКУРУЗЫ В ГРУЗИИ

Резюме

За последнее время при изучении истории культуры кукурузы рядом ученых высказано сомнение относительно ее американского происхождения. Но особенно остро стоит вопрос о времени распространения этого растения. Предполагают, что Старый Свет был знаком с кукурузой еще в доколумбовские времена. Учитывая вышесказанное, а с другой стороны, обстоятельство, что новые исследования порой дают возможность внести коррективы в изучение истории культурной флоры, кажется небезынтесной находка при археологических раскопках в Западной Грузии ожерелья античного периода, отдельные подвески которого напоминают кукурузные початки. Но для пересмотра и окончательного решения вопроса о времени распространения кукурузы в Грузии требуется более тщательное исследование, основанное на новых дополнительных материалах. Это — вопрос будущих исследований.

В научной литературе освещена и другая сторона вопроса, касающегося распространения кукурузы в Грузии. В частности, по мнению некоторых ученых, эта культура была ввезена первоначально в виде муки и поэтому получила название, обозначающее муку. Однако в результате ознакомления с соответствующими данными можно усомниться в правильности этого высказывания. Хотя слово „саминдали“ в древнегрузинском имело значение муки, но, учитывая, с одной стороны, высказанное И. А. Орбели мнение относительно древнегреческого варианта этого слова (σείδαλις) и, с другой стороны, данные латинского языка, можно предло-

ложить, что „саминдали“ II „саминдай“ имело двойное значение — злак и мука. А употребление одного и того же термина для выражения злака и его продуктов (мука, каша, лепешка, хлеб)—обычное явление как в быту грузинского народа, так и в латинском языке.

Анализ разъяснения слова „саминдали“, встречающегося в толковом словаре грузинского языка XVIII в. (С.-С. Орбелиани), дает возможность разглядеть в этом слове зерновую культуру — пленчатую пшеницу „зандური“. Учитывая это обстоятельство, а также свойства этой культуры и данные древнегрузинских письменных источников, можно высказать предположение, что новораспространенная культура — кукуруза позависовала у пшеницы „зандური“ второе название „саминдали“ — мука и хлеб из нее по многим свойствам схожи с кукурузной мукой и лепешкой.

დამოწმებული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. M. D. W. Jeffreys. Columbus and the Introduction of Maize into Spain. *Anthropos*, v. 50, № 1—3, 1955.
2. C. Curwen and G. Hatt. *Plough and Pasture. The Early History of Farming* New York, 1953.
3. П. М. Жуковский. Культурные растения и их сородичи. Л., 1964.
4. А. Натроев. Культура кукурузы на Кавказе. Кавказ, № 69, 1895.
5. Катон, Варрон, Колумелла, Плиний. О сельском хозяйстве. М.—Л., 1937.
6. Л. Л. Декапрелевич и В. Л. Менабде. К изучению полевых культур Западной Грузии, I, Рача, 1929.
7. ბ. გუგუშვილი. მარცვლეულის მეურნეობა ამიერკავკასიაში. თბილისი, 1954.
8. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1. ტფილისი, 1930.
9. ს. ჯიქია. შენიშვნები „სიმინდ-სემიდალის“ შესახებ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXX_B — XXXI_B, 1947.
10. Н. А. Брегадзе. Полеводство в Рача-Лечхуми (по этнографическим материалам). Автореферат, Тбилиси, 1963.
11. ბ. ხასია. სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარება საქართველოში, 1. თბილისი, 1962.
12. ლ. გიორგაძე. ქართული სიმინდის ზოგიერთი საინტერესო ფორმა. თბილისი, 1963
13. И. А. Орбели. Simitose в Идиллийской надписи и *σμιδαλις, simila, similago*. ЖМНП, ч. 18, 1908.
14. ბ. გეგაძე. რაქა-ლენხუმის მარცვლეული კულტურების შესახებ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების წიგნები, № 3, 1960.
15. А. М. Малинин. Латинско-русский словарь. М., 1952.
16. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი. ტფილისი, 1928.
17. სტ. მენთეშაშვილი. აჭარის ეთნოგრაფიული მასალები. ენიმკის შიგნით, II, 1937.



ორმოდულამომკმ ტომის შინაარსი
 СОДЕРЖАНИЕ СОРОК ВТОРОГО ТОМА
 CONTENTS OF THE FORTY SECOND VOLUME

მათემატიკა—МАТЕМАТИКА—МАТЕМАТИКС

О. Д. Габисония. Об абсолютной сходимости двойных рядов и интегралов Фурье	3
*ო. გაბისონია. ფურიეს ორმაგი მწკრივებისა და ინტეგრალების აბსოლუტურად კრებადობის შესახებ	9
А. С. Грек. Правильные многогранники на поверхностях с эйлеровой характеристикой $\chi = -4$	11
*ა. გრეკი. წესიერი მრავალწახნაგები ზედაპირებისა, რომელთა ოილერის მახასიათებელი $\chi = -4$	15
Ю. Л. Родин. Пространства квазианалитических дифференциалов на открытых римановых поверхностях	17
*ი. როდინი. კვაზიანალიზურ დიფერენციალთა სივრცეები რიმანის ღია ზედაპირებზე	21
Р. В. Асатиани. Псевдостабильные группы автоморфизмов	23
*რ. ასათიანი. ავტომორფიზმთა ფსევდოსტაბილური ჯგუფები	28
Г. Н. Тевзадзе. О паре сопряженных аффинных связностей, индуцируемых на поверхности проективного пространства P_3	257
*გ. თევზაძე. შეუღლებულ აფინურ ბმულობათა წყვილის შესახებ, რომლებიც ინდუცირებული არიან P_3 პროექციული სივრცის ზედაპირზე	264
О. Д. Церетели. Замечание к одной теореме Зигмунда	265
*ო. წერეთელი. ზენიშენა ზიგმუნდის ერთ თეორემაზე	267
Г. С. Табидзе. Операторы для описания алгоритма выделения названий объектов	269
*გ. ტაბიძე. ოპერატორები ობიექტის დასახელებათა გამოყოფის ალგორითმის აღსაწერად	275
А. Д. Шаташвили. Абсолютная непрерывность гауссовских мер в некоторых функциональных пространствах	277
*ა. შათაშვილი. გაუსის ზომების აბსოლუტური უწყვეტობა ზოგიერთ ფუნქციონალურ სივრცეებში	284
И. А. Торшелидзе. Об асимптотическим представлении решений некоторых систем нелинейных дифференциальных уравнений	285
*ი. ტორშელიძე. არაწრფივი დიფერენციალურ განტოლებათა ზოგიერთი სისტემის ამოხსნების ასიმპტოტური წარმოდგენის შესახებ	292
Х. Н. Инасаридзе. Об одном обобщении замкнутых отображений и абсолютах n -го порядка	513
*ხ. ინასარიძე. ჩაკეტილ ასახვათა ერთი განზოგადებისა და n -ური რიგის აბსოლუტების შესახებ	518
С. Б. Топурия. О существовании угловых граничных значений гармонических функций в шаре	521
*ს. თოფურია. სფეროში ჰარმონიულ ფუნქციათა სასაზღვრო მნიშვნელობის არსებობის შესახებ	527

* ვარსკვლავით აღნიშნული სათაურო გვუთვნის წინა წერილის რეზიუმეს ან თარგმანს.

* Заглавие, отмеченное звездочкой, относится к резюме или к переводу предшествующей статьи.

* A title marked with an asterisk applies to a summary or translation of the preceding article



Ш. П. Панджакидзе. Некоторые признаки сходимости рядов Фурье по полиномиальным системам	529
*შ. ფანჯაკიძე. პოლინომიალური სისტემების მიმართ ფურიეს მწკრივის კრებადობის ზოგიერთი ნიშანი	534
Д. О. Баладзе. Произведения Cup и Cap над парой групп коэффициентов	535
*დ. ბალაძე. კოეფიციენტების ჯგუფების წყვილის მიმართ აღებული Cup და Cap ნამრავლების შესახებ	538
კიბერნეტიკა—КИБЕРНЕТИКА—CYBERNETICS	
Д. Г. Цкипуришвили. Статистико-вероятностное моделирование динамики популяции общественной полевки (<i>Microtus socialis</i> Pall.) на вычислительной машине	29
*დ. ცკიფურიშვილი. საზოგადოებრივი მემინდვრისა (<i>Microtus socialis</i> Pall.) პოპულაციის დინამიკის სტატისტიკურ-ალბათური მოდელირება გამომთვლელ მანქანაზე	36
Ш. Л. Бебиашвили, Т. Г. Жгенти, О. М. Намичейшвили. Об оптимализации метода увеличения всхожести семян резервированием	293
*შ. ბებიაშვილი, თ. ჟდენტო, ი. ნამიჩეიშვილი. ოპტიმალური დარეზერვების შესახებ თესლთა აღმოცენების ალბათობის გაზრდისათვის	296
ფიზიკა—ФИЗИКА—PHYSICS	
Н. В. Бокучава, Т. Г. Гачечиладзе. О процессе перехода порядок—беспорядок в бинарных сплавах	37
*ნ. ბოკუჩავა, თ. გაჩეჩილაძე. მოწესრიგების პროცესის შესახებ ბინარულ შენადნობებში	44
Ф. Н. Тавадзе (академик Академии наук Грузинской ССР), Г. Г. Сурмава, И. Л. Светлов. Исследование диффузии в микропроводах меди	45
*ფ. თავაძე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), გ. სურმავა, ი. სვეტლოვი. დიფუზიის შესწავლა სპილენძის მიკროწარმოებულებში	49
Г. М. Дolidze, Ю. А. Колбановский, Л. С. Полак. Кинетическое исследование адсорбции водорода на $\gamma\text{-Al}_2\text{O}_3$ под действием гамма-излучения	51
*გ. დოლიძე, ი. კოლბანოვსკი, ლ. პოლაკი. გამა-გამოსხივების მოქმედებით წყალბადის ადსორბციის კინეტიკური გამოკვლევა	56
Р. Н. Салия. Ускоренное движение и обобщенные преобразования Лоренца	297
*რ. სალია. აჩქარებული მოძრაობა და ლორენცის განზოგადებული გარდაქმნები	303
Ш. М. Мирианшвили, Д. И. Нанобашвили, З. Г. Размадзе. О возможности трансмутационного легирования антимониды индия	305
*შ. მირიანაშვილი, ჯ. ნანობაშვილი, ზ. რაზმაძე. ინდიუმის ანტიმონიდის ტრანსმუტაციური ლეგირების შესაძლებლობის შესახებ	310
М. А. Коломийцев, Ц. Д. Гамкрелидзе. Мечение аспарагиновой кислоты горячими атомами трития	311
*მ. კოლომიცევი, ც. გამყრელიძე. ასპარაგინის მეთვას დანიშნა თრითიუმის ცხელი ატომებით	314
Н. В. Бокучава. Зависимость критической температуры перехода порядок—беспорядок от концентрации	539
*ნ. ბოკუჩავა. მოწესრიგების პროცესში გადასვლის კრიტიკული ტემპერატურის დამოკიდებულება კონცენტრაციაზე	545
Л. А. Гогава, Г. А. Накашидзе, Н. М. Делерзон, Е. Г. Джапаридзе, И. В. Кахабришвили, А. Г. Тер-Саркисова. Фотоэлектрические характеристики четырехслойного переключателя типа $p-n-p-n$	547



*ლ. გოგავა, გ. ნაკაშიძე, ნ. დელგოზინი, ე. ჯაფარიძე, ი. კახაბრიშვილი, ა. ტერ-სარქისოვა. $p-n-p-n$ -ტიპის ფოტოგარდამქმნელის ფოტოელექტროული მახასიათებელი 550

